დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სოციოლოგია

სამაგისტრო პროგრამა

ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი

სექტემბერი, 2022 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ანა

გვარი: დიაკონიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სოციოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	N/A
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0314 Sociology and Cultural Studies სოციოლოგია და კულტურის კვლევები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 20.01.2022 გადაწყვეტილება No45168
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	29.12.2021

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 29 ივნისამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
2. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან/ პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები/ ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოადგინა საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის (2022 წლის 29 ივნისამდე) დაცვით, 2022 წლის ივნისში. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებაზე და ასახვაზე მუშაობდა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ნინო მატარაძე;
- საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია;
- პროფესორი მამუკა ნადარეიშვილი;
- ასოცირებული პროფესორი სოფო ზვიადაძე;
- ასოცირებული პროფესორი ანა კირვალიძე;
- ასისტენტ-პროფესორი ნინო რჩეულიშვილი;
- ასისტენტ-პროფესორი მარიამ დალაქიშვილი;
- ასისტენტ-პროფესორი ვანო კეჭაყმაძე;
- ასისტენტ-პროფესორი თამარ ხოშტარია;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მაკა ლაშხია;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი ზვიად ზალიკიანი.

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

პირველი რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა სამაგისტრო პროგრამის აღწერაში/კურიკულუმში. დანარჩენი რეკომენდაციების შემთხვევაში, უწყება თვლის, რომ დოკუმენტების ცვლილება/კორექტირების საჭიროება არ დგას. მოცემული ანგარიშის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია თითოეული რეკომენდაციის გათვალისწინების შესახებ პასუხის შეფასება.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ---
2. ---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
შეფასება	პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილი სახით გაზომვადია. შესაბამისად, რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის აღწერა/კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან/ პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები/ ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
შეფასება	როგორც რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშშია ახსნილი, სამაგისტრო პროგრამა არ ითვალისწინებს პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკას. შესაბამისად, მემორანდუმში რეკომენდაციაში მითითებული პუნქტები (პრაქტიკის მიზანი, ხანრგძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა) მითითებული ვერ იქნება.
რჩევა[17] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის აღწერა/კურიკულუმი

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად;
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის პასუხად უწყების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ერთჯერადია და ის არ ეწინააღმდეგება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას“. მართალია, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასება მთლიანი შეფასების ნაწილია, თუმცა მათ მიერ ნაშრომის დაცვამდე ქულის დაწერა ნიშნავს, რომ შეფასება არ ხდება ერთჯერადად. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს აღნიშნულ კანონმდელობაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის N105/ნ ბრძანების მიხედვით „სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას“. შესაბამისად, არსებული პრაქტიკით, ხელმძღვანელი და რეცენზენტი საერთოდ აღარ წერენ ქულას. ნაშრომი ფასდება მხოლოდ ერთი დასკვნითი შეფასებით, რომელიც იწერება მისი დაცვის დღეს შემფასებელი კომისიის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ვერ ჩაითვლება შესრულებულად.
რჩევა[18] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.
შეფასება	მოცემული რეკომენდაციის საპასუხოდ უწყების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელებს და რეცენზენტებს დაეგზავნათ „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.“ შესაბამისად, რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.
რჩევა[19] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია

თანდართული დოკუმენტაცია[20]

დანართი 1- სამაგისტრო პროგრამა: სოციოლოგია

დანართი 2- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.

ექსპერტის ხელმოწერა

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[20] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა